

ଲେଖକ



ლუ სსუინი

ა ქიუს  
ნამდვილი  
ამბავი

ორჟანე  
გადამისა

ლუ სსუინი  
ა ერუს ნამდვილი ამბავი

鲁迅  
阿Q正传

Lu Xun  
THE TRUE STORY OF AH Q

ჩინურიდან თარგმნეს ზურაბ მამნიაშვილმა („ა ქიუს  
ნამდვილი ამბავი“) და ელისო ელისაშვილმა („შეშლილის  
დღიური“)

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2023  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-836-4  
[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

თარგმანი ეძღვნება „დიდი ჩინურ-ქართული ონლაინლექსიკონის“ რედაქტორთა ჯგუფს, მრავალწლიანი დაუღალავი შრომისთვის.



## **სარჩევი**

მთარგმნელის წინასიტყვაობა 9

ა ქიუს ნამდვილი ამბავი 25

შეშლილის დღიური 113



## მთარგმნელის წინასიტყვაობა

რომანი „აქუს ნამდვილი ამბავი“ დაწერილია გამოჩენილი ჩინელი მწერლის, თანამედროვე ჩინური ლიტერატურის ფუძემდებლის, ჭოუ შუჟენის<sup>1</sup> მიერ, რომელიც ჩინეთშიც და მის საზღვრებს გარეთაც საყოველთაოდ ცნობილია ფსევდონიმით ლუ სსუინი. „აქუს ნამდვილი ამბის“ გარდა, მწერლის პოპულარული ნაწარმოებებია: „შემლილის დღიური“, „ქუნგ იძი“, „წამალი“ და სხვ. მის კალამს ასევე ეკუთვნის მრავალი ესე, ლექსი, პუბლიცისტური წერილი და თარგმანი. ლუ სსუინის ნაწარმოებებმა უდიდესი გავლენა მოახდინა XX საუკუნის პირველი ნახევრის, კერძოდ, „4 მაისის მოძრაობის“<sup>2</sup>

<sup>1</sup> ჭოუ შუჟენი, ლუ სსუინი. ჩინური საკუთარი სახელებისა და სიტყვების ქართული ტრანსკრიფცია მოცემულია „დიდი ჩინურ-ქართული ონლაინლექსიკონის“ სატრანსკრიფციო სისტემის მიხედვით.

<sup>2</sup> 1919 წლის 4 მაისს ჰეიინის უნივერსიტეტის სტუდენტთა დემონსტრაციით დაწყებული ანტიმპერიალისტურ-ანტიფეოდალური პოლიტიკურ-კულტურული კამპანია, რომლის მიზეზი გახდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციის გადაწყვეტილება, შანტუნგის პროვინციაში მდებარე გერმანიის ყოფილი კონცესიების იაპონიისთვის გადაცემის და არა ჩინეთისთვის დაწრუნების შესახებ. სტუდენტთა პროტესტი გადაიზარდა მასობრივ მოძრაობაში და გადაიქცა „ახალი კულტურისთვის მოძრაობის“ კულმინაციურ მომენტად. „ახალი კულტურისთვის მოძრაობა“ იყო XX საუკუნის 1910-1920 წლების ჩინეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილის მიერ ქვეყანაში პროგრესული რეფორმების გატარების მოთხოვნით წამოწყებული კულტურულ-პოლიტიკური მოძრაობა.

შემდგომი ჩინეთის ლიტერატურის განვითარებასა და საზო-გადლებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაზე. ლუ სსუინს ჩინელები დღემდე „ერის სულს“ უწოდებენ.

**ოჯახი.** ლუ სსუინი დაიბადა 1881 წლის 25 სექტემბერს, პროვინცია ჯეძიანგის ქალაქ შაოსინგში, შეძლებულ და გა-ნათლებულ ოჯახში. მისი ბაბუა, მამის მამა, სახელმწიფო მო-ხელე იყო და მუშაობდა პეკინში, ხანლინის საიმპერატორო აკადემიაში,<sup>3</sup> სადაც თავმოყრილი იყვნენ მაშინდელი ჩინეთის უმაღლესი რანგის სწავლულები. მამას, ჭოუ პოის, სიუცაის<sup>4</sup> სამეცნიერო ხარისხი ჰქონდა, დედამ – ლუ უუიმ – კი თვი-თონ ისწავლა წერა-კითხვა, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის მაშინდელი ნახევრად ფეოდალური საზოგადოება ქალების გა-ნათლებას არ მიესალმებოდა. აღსანიშნავია, რომ ლუ სსუინმა თავისი ფსევდონიმის პირველ იეროგლიფად დედის გვარი – ლუ (魯) აირჩია. ლუ სსუინს ჰყავდა სამი უმცროსი ძმა და ერთი უმცროსი და. 1927 წელს, გუანჯოუში მუშაობის დროს, ლუ სსუინსა და მის სტუდენტ სსუი კუანგფინგს (1898-1968 წწ.) ერთმანეთი შეუყვარდათ. მას მერე, სიცოცხლის ბოლომდე, ისი-ნი ერთად ცხოვრობდნენ, თუმცა ოფიციალურად არ დაქორ-ნინებულან. 1929 წელს წყვილს გაუჩნდა ვაჟი – ჭოუ ხაინგი. ლუ სსუინის ოფიციალური ცოლი ჭუ ანი (1929-2011 წწ.) იყო, რომელზეც მან დედის დაჟინებული თხოვნით იქორწინა, მაგრამ მასთან ცოლქმრული ურთიერთობა არ ჰქონია, რადგან ეს ძვე-

<sup>3</sup> ხანლინის აკადემია, დაწესებულება, რომელიც ასრულებდა საიმპერატორო კანცელარიის როლს 738-1911 წლების ჩინეთის იმპერიაში.

<sup>4</sup> სიუცაი – მინგისა და ცინგის დინასტიების დროს (1368-1911 წწ.) სამაზრო-საიმპერატორო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მიღებული პირველი დონის, ე. ი. დაწებითი, სამეცნიერო ხარისხი, დაახლოებით თანამედროვე ბაკალავ-რის შესატყვისი (სიტყვასიტყვით – „იმედის მომცემი, ნიჭიერი“, „პერსპექ-ტრული, ტალანტი“).

ლი ფეოდალური ტრადიციებით აღზრდილი ქალი არ მოსწონდა და მასთან შეხვედრას მუდამ გაურბოდა, თუმცა მთელი სიცოცხლის განმავლობაში მატერიალურად უზრუნველყოფდა. ჭუ ანის მთავარი საქმიანობა ლუ სსუინის დედაზე ზრუნვა იყო.

**ცხოვრება და მოლვანეობა.** 18 წლის ლუ სსუინი ნანკინის საზღვაო სასწავლებლის სტუდენტი გახდა, მაგრამ მალე ის საკუთარი სურვილით მიატოვა და სწავლა განაგრძო სარკინიგზო-სამთო სასწავლებელში, მადნეულის დამუშავების განყოფილებაზე. ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სტა-ჟირებისთვის სახელმწიფოს ხარჯით იაპონიაში გაგზავნეს, მაგრამ მოსამზადებელი კურსების შემდეგ ლუ სსუინმა ისევ შეიცვალა გეზი და გადაწყვიტა, საკუთარი სიცოცხლე მედი-ცინის შესწავლისთვის მიეძღვნა. მის ამ გადაწყვეტილებას ორი მიზეზი ჰქონდა: ერთი ის, რომ ტუბერკულოზით დაავა-დებული მამის ხანგრძლივმა ავადმყოფობამ, შემდეგ ექიმბა-შების არაადეკვატურმა მკურნალობამ და ბოლოს დალუპვამ ახალგაზრდა ლუ სსუინზე უდიდესი ფსიქოლოგიურ გავლენა მოახდინა, რის გამოც მას გულწრფელად სურდა ჩინელი ავადმყოფებისთვის მონინავე დასავლური მედიცინის მეთო-დებით ემკურნალა, რათა ისინი, მამამისის მსგავსად, ფსევ-დოექიმების მსხვერპლი არ გამხდარიყვნენ; მეორე მიზეზი ის იყო, რომ დასავლური მედიცინის დანერგვა მაშინდელი ია-პონიის მიერ განხორციელებული პროგრესული რეფორმების<sup>5</sup> წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. ამ პერიოდში ჩინეთი არა მარტო მედიცინით, არამედ ხალხის

<sup>5</sup> იგულისხმება 1868-1889 წლების პოლიტიკური, სამხედრო და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების კომპლექსი იაპონიაში, ე. წ. მეიძის რესტავრაცია.

აზროვნებითა და ქვეყნის წესწყობილებითაც იაპონიასთან შე-დარებით გაცილებით ჩამორჩებოდა დასავლეთის ქვეყნებს. 1904 წელს ლუ სსუინი გაემგზავრა იაპონიის ქალაქ სენდაიში, სადაც პირველად გაეცნო თანამედროვე მეცნიერების მიღწე-ვებს, დაინტერესობდა დასავლურ სამეცნიერო და მხატვრულ ლიტე-რატურას, მაგრამ 1906 წელს მან მოულოდნელად ისევ შენ-ყვიტა სწავლა და საცხოვრებლად ტოკიოში გადავიდა. ამ გა-დაწყვეტილების მიზეზი ის შემაძრნუნებელი შთაბეჭდილება იყო, რომელიც ლუ სსუინზე იაპონელების მიერ ჯაშუმშობაში ეჭვმიტანილი ჩინელების დასჯის ამსახველი სლაიდების ნახ-ვამ მოახდინა. კერძოდ, ლუ სსუინი შეძრა დასჯის სანახავად შეკრებილ ჩინელთა სახეებმა, რომლებზეც, თანამემამულე-თა მიმართ თანაგრძნობის მაგივრად, სეირის მაყურებელთა განწყობა იყო ალბეჭდილი. ლუ სსუინის აზრით, ეს იყო ფი-ზიკურად ჯანმრთელ, მაგრამ სულიერად დაცემულ თანამემა-მულეთა ჯგუფი, რომელთათვისაც ფიზიკური ავადმყოფობის მკურნალობაზე უფრო მნიშვნელოვანი და აუცილებელი სუ-ლიერი განკურნება იყო. მას ჩამოუყალიბდა აზრი, რომ სადაც ჯანმრთელი სხეული უსამართლო დასჯის ობიექტი ან უსა-მართლო დასჯის გულგრილი მაყურებელი ხდება, იქ მედიცი-ნა უძლიურია. ცუდი მკურნალობით გამოწვეული სიკვდილი არ იყო ყველაზე დიდი სატკიგარი, რომელიც ჩინეთს აწუხებდა. ჩამორჩენილ, უვიც და დაბეჩავებულ ხალხს, უპირველეს ყოვ-ლისა, ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება სჭირდებოდა, რაც ლიტერატურისა და მწერლობის დახმარებით შეიძლებო-და. ლუ სსუინმა საბოლოოდ გადაწყვიტა, თავისი ცხოვრება ლიტერატურული შემოქმედებისთვის, სამშობლოს კულტუ-რული აღორძინებისა და პროგრესისთვის მიეძღვნა.

თავიდან თავად ვერ ბედავდა თხზულებების წერას. თარგმნიდა ევროპული ლიტერატურის ისეთ ნიმუშებს, რომელთა მთავარი თემა ჩაგრული ერების გამოლვიძება და განმათავისუფლებელი ბრძოლისკენ მოწოდება იყო, რათა ისინი ჩინელი მკითხველისთვის გაეცნო და მხატვრული ნაწარმოებების მეშვეობით მათზე ზემოქმედება მოეხდინა. ამ პერიოდში მან რამდენიმე მეგობართან ერთად ჯერ გაზითის გამოშვება სცადა, შემდეგ – ნათარგმნი ევროპული მხატვრული ლიტერატურის გამოცემა, მაგრამ ორივე ჩანაფიქრი წარუმატებლად დამთავრდა. იმ დროს ლუ სსუინი გერმანიაში ნასვლასა და სწავლის გაგრძელებაზეც ოცნებობდა, თუმცა უსახსრობის გამო ეს ოცნებაც აუხდენელი დარჩა.

1909 წელს 28 ნოემბერის ლუ სსუინი იაპონიიდან ჩინეთში დაბრუნდა. დაბრუნების შემდეგ მუშაობდა საშუალო სკოლის მასწავლებლად ქალაქებში ხანგჭოუსა და შაოსინგში. 1911 წელს სინხაის რევოლუციის<sup>6</sup> შედეგად ჩინეთის იმპერატორთა უკანასკნელი დინასტია დაემხო და მალევე ქვეყანა რესპუბლიკად გამოცხადდა, ლუ სსუინი სამუშაოდ ჩინეთის განათლების სამინისტროში მიინვიეს და 1912 წელს ის და მისი ძმები ოჯახებთან ერთად საცხოვრებლად პეკინში გადავიდნენ. სამინისტროში მუშაობასთან ერთად ლუ სსუინი პეკინის უნივერსიტეტსა და პეკინის ქალთა კოლეჯში კითხულობდა ლექციებს ლიტერატურის თეორიასა და ეროვნულ ლიტერატურაში. ლუ სსუინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნლები დაემთხვა ჩინეთის უდიდესი პოლიტიკურ-კულტურული ძვრების ეპოქას.

<sup>6</sup> სინხაის რევოლუცია – 1911 წელს სუნ იატსენის მეთაურობით მომხდარი ბურუუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რომელმაც საბოლოოდ დაამხო ცინგის დინასტიის მმართველობა და 1912 წლის 1 იანვარს ჩინეთი რესპუბლიკად გამოაცხადა.

ეს იყო ნახევრად ფეოდალური, ნახევრად კოლონიალური სისტემის მტკიცნეული მსხვრევის პერიოდი, რევოლუციებისა და ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების დრო. მიუხედავად იმისა, რომ დასრულდა ჩინელ მონარქთა დინასტიების უსასრულო ცვლა და 4000-წლიანი მმართველობა, სინხაის რევოლუციამ უბრალო ჩინელთა იმედები ვერ გაამართლა, რადგან მას შესამჩნევი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები არ მოჰყოლია. დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიის, მათ ლიდერებსა და სამხედრო დაჯგუფებებს შორის. ასე გაგრძელდა ლუ სსუინის სიცოცხლის ბოლომდე. დემოკრატიული, პროგრესული და სტაბილური ჩინური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ის ვერ მოესწრო.

თავისი სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში ლუ სსუინი, ისევე, როგორც ინტელიგენციის უმრავლესობა, საკუთარ ნანარმოებებს ძველი ჩინური სალიტერატურო ენით – ვენიენით<sup>7</sup> წერდა. ვენიენი თავისი რთული გრამატიკით, თანამედროვე სალაპარაკო ენისგან განსხვავებული ლექსიკითა და სტილით, სპეციალური განათლების არმქონე ჩინელებისთვის ძნელად გასაგები იყო. მიუხედავად ამისა, ამ ენაზე დაწერილი კონფიუციანური ლიტერატურისა და ფილოსოფიური ნანარმოებების ცოდნა სახელმწიფო სამსახურში მიღების აუცილებელ პირო-

<sup>7</sup> ვენიენი მე-20 საუკუნის დასაწყისამდე გამოიყენებოდა ლიტერატურული ნანარმოებების, სამეცნიერო შრომებისა და ოფიციალური დოკუმენტების, ასევე, საქმიანი მიმოწერისთვის. „4 მაისის მიმრაობის“ შემდეგ ის თანდათანობით თანამედროვე ჩინური სასაუბრო ენის ბაზაზე შექმნილმა სალიტერატურო სტილმა – პაიხუამ შეცვალა, რომელიც დღეს იფიციალურად გამოიყენება. თუმცა ვენიენი მაინც დარჩა ჩინეთის სასკოლო დაწესებულებების აუცილებელ შესასწავლ საგანთა სიაში, რადგან მასზე დაწერილი მე-20 საუკუნემდე ჩინურ ენაზე შექმნილი ზღვა ლიტერატურული, ფილოსოფიური და ა.შ. ნანარმოებები.

ბად ითვლებოდა. ლუ სსუინის, როგორც საზოგადო მოღვაწის, უდიდესი დამსახურებაა ის, რომ მან, „ახალი კულტურისთვის მოძრაობის“ ერთ-ერთმა ინიციატორმა და აქტიურმა მონაწილემ, პირველმა დაიწყო თავისი ნაწარმოებების თანამედროვე სასაუბრო ენასთან მიახლოებული სალიტერატურო ენით, პაიხუათი, წერა; ამასთანავე, მან სათავე დაუდო უბრალო ხალხის, საზოგადოების დაბალი ფენების სულიერი მდგომარეობისა და ყოველდღიური ყოფის აღნერას. 1918 წელს მწერლის მეგობრის, ციენ სსუენთუნგის, დაუინებული რჩევითა და რეკომენდაციით, გაზეთში „ახალი ახალგაზრდობა“,<sup>8</sup> ფსევდონიმით ლუ სსუინი, დაიბეჭდა მოთხრობა „შეშლილს დღიური“,<sup>9</sup> რომელიც მე-20 საუკუნის ჩინეთში პაიხუათი დაწერილი პირველი მხატვრული ნაწარმოები გახდა.

ნაწარმოების სიუჟეტია დევნის მანიით (პარანოიით) შეპყრობილი ადამიანის – შეშლილის – თვალით დანახული სამყარო, საუკუნეების განმავლობაში კაციჭამიობით დაავადებული საზოგადოება. მთავარი გმირი ამის დამადასტურებელ საბუთს ისტორიულ წიგნებში პოულობს, სადაც კონფუციანური კაცთმოყვარეობისა და მორალის მქადაგებელ სტრიქონებს შორის იკითხება სიტყვა კაციჭამიობა, ანუ კაციჭამიური მორალი, რომელსაც მწერალი იყენებს, როგორც ჩამორჩენილი ქვეყნის დახაცესებული წესწყობილებისა და იერარქიული, არაადამიანური ურთიერთდამოკიდებულების გამომხატველ განსაკუთრებულ მეტაფორას. ამ საშინელი სიმართლის

<sup>8</sup> „ახალი ახალგაზრდობა“ – ცნობილი ჩინელი პოლიტიკოსის, სინხაის რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერის, ჩენ ტუსიუს, მიერ დაარსებული ჟურნალი, „ახალი კულტურისთვის მოძრაობის“ მთავარი პერიოდული გამოცემა.

<sup>9</sup> მოთხრობის სათაური და სიუჟეტის იდეა ლუ სსუინმა ნ. გოგოლის იმავე სახელწოდების ნაწარმოებიდან აიღო.

მთქმელად ავტორს გამიზნულად გამოჰყავს შეშლილი, რადგან მას კაციჭამიათა საზოგადოება სიმართლის დაუფარავად გამუდავნებისთვის მკაცრ პასუხს ვერ მოსთხოვს, მაშინ, როცა ნორმალური, საღი გონების ადამიანი შეიძლება ამგვარ ქმედებას შეეწიროს კიდეც. ნაწარმოების შესავალი განზრახვენიერით არის დაწერილი, რათა კაციჭამიათაგან მკაფიოდ გამოიყოს შეშლილი, არა მარტო თავისი კაცომოყვარე ბუნებით, არამედ იმითაც, რომ ის თანამედროვე, ყველა უბრალო ადამიანისთვის გასაგები სასაუბრო ენით – პაიხუათი წერს თავის დღიურს. ტრადიციული ჩინური მეთოდითა და ახალი დასავლური სტილის შერწყმით დაწერილ ამ მოთხრობას ლიტერატურული წრეების მაღალი შეფასება მოჰყვა. მან განსაკუთრებით ააღელვა საზოგადოების ის მოწინავე ნაწილი, რომელსაც დიდი ხანი იყო, გულს უკლავდა საკუთარი ერის ჩამორჩენილობა და ორარქიულ-პატრიარქალური ყოფა.

ლუ სსუინმა ნაწარმოებების წერა ნოვატორულ-რეალისტური ხერხებითა და მიმზიდველი თხრობის სტილით განაგრძო. მალე ის „ახალი კულტურისთვის მოძრაობის“ მოწინავე მწერლად აღიარეს, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი ურთულესი და სწრაფად ცვალებადი სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციით გამოწვეული დაძაბული ემოციური განწყობის გამო ლუ სსუინმა უარი თქვა გრძელი რომანების წერაზე და მთელი ცხოვრება მხოლოდ მოკლე მოთხრობებს, ესეებს, ნარკვევებსა თუ პუბლიცისტურ წერილებს წერდა. მისი ამ პერიოდის ნაწარმოებები შევიდა კრებულებში „ყიუინა“ და „ბორიალი“.<sup>10</sup> 1921 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა ლუ სსუინის თხზულებათა შორის ყველაზე დიდი და დღემდე ყველაზე ცნობილი

<sup>10</sup> „ყიუინა“ გამოიცა 1923 წელს, „ბორიალი“ – 1926 წელს.

ნაწარმოები, რომანი „ა ქიუს ნამდვილი ამბავი“,<sup>11</sup> რომელმაც მწერალს საერთაშორისო აღიარება მოუტანა. გასული საუკუნის 20-იანი წლებისთვის ლუ სსუინი უკვე ჩინეთის ერთერთ ყველაზე ცნობილ მწერლად და ინტელექტუალად ითვლებოდა.

1926 წლის აგვისტოში ლუ სსუინმა მხარი დაუჭირა სტუდენტთა ანტისამთავრობო პროტესტს, რომელიც ბოლოს სისხლისლერაში გადაიზარდა და შედეგად დაიღუპა მისი ორი სტუდენტი გოგონა პეკინის ქალთა სასწავლებლიდან. ზოგიერთმა სწავლულმა მას ბრალი დასდო მთავრობისადმი არალოიალურ დამოკიდებულებაში და მისი დაპატიმრებაც მოითხოვა, რის გამოც ლუ სსუინი იძულებული გახდა, პეკინიდან ქალაქ სიამენში წასულიყო, სადაც დროებით ადგილობრივ უნივერსიტეტში ლექტორად დაიწყო მუშაობა. 1927 წელს ლუ სსუინმა გადაინაცვლა ქ. გუანჯოუში, სადაც ის სუნ იატ-სენის უნივერსიტეტში, ჩინური ლიტერატურის ფაკულტეტზე, პროფესორის თანამდებობაზე მიიღეს. იმავე წელს მისმა ორმა სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო ჩინელ კომუნისტთა მიერ ორგანიზებულ წარუმატებელ აჯანყებაში, რომელიც ჩან კაიშიმ<sup>12</sup> სასტიკად ჩაახშო. სტუდენტები დააპატიმრეს. მას შემდეგ, რაც ლუ სსუინმა თავისი სტუდენტების გათავისუფლება ვერ შეძლო, გუანჯოუ მიატოვა და გადასახლდა ქ. შანხაიში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა.

<sup>11</sup> „ა ქიუს ნამდვილი ამბავი“ პირველად გამოქვეყნდა პეკინის „დილის გაზეთის დანართში“; ქვეყნდებოდა ცალკეულ თავებად 1921 წლის 4 დეკემბრიდან 1922 წლის 12 თებერვლიმდე ავტორის ფსევდონიმით პა უენი.

<sup>12</sup> ჩან კაიში, იგივე ძიანგ ძიეშში – ჩინელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ნაციონალისტი, გომინდანის პარტიის მეთაური; 1950-1975 წლებში ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ლუ სსუინი დაავადებული იყო ტუბერკულოზით, ამას-თანავე, მუდმივად ეწეოდა თამბაქოს, ამიტომ 1936 წელს, 55 წლისას, ეს ავადმყოფობა საგრძნობლად გაურთულდა, დაენ-ყო ასთმური შეტევები და მაღალი სიცხე. სიკვდილამდე ერთი თვეთ ადრე მან დაწერა ორი ესე – „ესეც ცხოვრება“ და „სიკვდილი“, რომელშიც ანდერძად წერდა: „დაუყოვნებლივ გამასვენეთ, დამასაფლავეთ, დამივიწყეთ! არ არის საჭირო სამგლოვიარო ცერემონიების გამართვა“. შვილის შესახებ კი წერდა: „როცა გაიზრდება, თუ არაფრის ნიჭს არ გამოამჟღავ-ნებს, საარსებოდ, ჯობს, რაიმე უპრალო ხელობა ისწავლოს, ვიდრე უვარგისი ლიტერატორი ან ხელოვანი გამოვიდეს“.

ლუ სსუინი გარდაიცვალა 55 წლის ასაკში, 19 ოქტომ-ბერს, დილის 5 საათზე. დაკრძალულია შანხაიში, ლუ სსუი-ნის სახელობისავე პარკში. საფლავზე მისი სახელის კალიგრა-ფიული წარწერა ეკუთვნის მამ ძედუნს, რომელიც მისი დი-დი თაყვანისმცემელი იყო. ჩინელი კომუნისტები ლუ სსუინს დღემდე „თავიანთ“ მწერლად თვლიან, თუმცა ის, მიუხედავად იმისა, რომ იზიარებდა მაშინდელ რევოლუციურ და მემარ-ცხენე იდეებს, იყო რამდენიმე მემარცხენე გაზეთის რედაქ-ტორი და მემარცხენე მწერალთა ლიგის თავმჯდომარეც კი, არასდროს არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა. 1911 წლის რევოლუციამ და შემდგომმა მოვლენებმა ლუ სსუინს იმედი გაუცრუა. გომინდანის მთავრობას ის არაეფექტურს უწო-დებდა და ჩინეთისთვის საზიანოდაც კი თვლიდა.<sup>13</sup> „რევოლუ-ციამდე მონა ვიყავი, რევოლუციის შემდეგ კი, მაღევე, თავად მონებმა მომატყუეს და ახლა მათი მონა გავხდი“, – წერდა ის.

<sup>13</sup> ლუ სსუინის ნანარმოებები, მისი მემარცხენე პოლიტიკური შეხედულე-ბების გამო, კუნძულ თაივანზე, რომელსაც გომინდანი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მართავდა, 1980 წლამდე აკრძალული იყო.

„ა ქიუს ნამდვილი ამბავი“ ლუ სსუინის შემოქმედებაში მოცულობით ყველაზე დიდი ნაწარმოებია. ის ღირსშესანიშნავია ჯერ იმით, რომ XIX-XX საუკუნეების ჩინეთის ისტორიაში პირველი ნაწარმოებია, რომელმაც დაარღვია საუკუნოვანი ტრადიცია და დაიწერა თანამედროვე სასაუბრო ენაზე – პაიხუაზე – და არა ძველ სალიტერატურო ენა ვენიენზე; გარდა ამისა, კრიტიკული რეალიზმის სტილის ეს თხზულება ჩინური ლიტერატურისთვის ახალი მოვლენა გახდა, რადგან მასში აღწერილია დაბალი სოციალური ფენის, უმეცრების ბურუსში გახვეული, დაბეჩავებული ადამიანის უსიხარულო და მძიმე ცხოვრება. ლუ სსუინის ამ ნაწარმოებმა ჩინური ლიტერატურა სინამდვილესთან, ცხოვრებასთან, უბრალო ხალხთან დაახლოვა და მათ სამსახურში ჩააყენა.

სუჟეტი ვითარდება სოფელ ვეიჭუანგში, რომლის მცხოვრებთა პატრიარქალური ყოფა და ურთიერთდამოკიდებულება იმდროინდელი, ნახევრად ფეოდალური, ნახევრად კოლონიური ჩინეთის საზოგადოების ერთგვარი მოდელია. თხზულების მთავარი გმირია სოფლის დღიური მუშა – ა ქიუ, რომლის სრულ სახელსა და ზუსტ ნარმომავლობას ავტორი ვერ ადგენს, რის მიზეზებსაც ნაწარმოების დასაწყისში ჩვეული ირონიით ჩამოთვლის, ბოლოს კი, სავარაუდო სახელის მაქ-სიმალურად შემოკლების გზით (ჩინ. 阿 Q), თხზულების გმირი სიმბოლურად ზოგად პიროვნებად, ე. ი. ზოგად მოვლენად ნარმოჩნდება. ლუ სსუინის მიზანი ერთია – ჩინელმა მკითხველმა ა ქიუ საკუთარი თავისგან ვერ გამიჯნოს და მასში სხვა ვინმე კი არა, საკუთარი თავი ან თავისიანი იცნოს, რომელიმე კარგად ნაცნობი სახე დაინახოს, რათა ამით გზა გაეხსნას ფიქრისკენ, თვითანალიზისკენ, თვითკრიტიკისკენ. გარდა ამისა, გმირის სახელში ლათინური ასოს ჩამატება

„4 მაისის მოძრაობის“ შემდგომ პოპულარული დასავლური იდეებისკენ მისწრაფებაზეც მიანიშნებს.<sup>14</sup>

ა ქიუს პიროვნება არის ლუ სსუინის თანამედროვე ჩინეთის საზოგადოების მანკიერი თვისებების ნაკრები. ეს არის ფეოდალური გადმონაშთების, კონფუციანური დოგმებისა და ცრურნმენების ტყვეობაში მყოფი ადამიანი, რომელიც ძლიერებს (მემამულეს, სოფლის მამასახლისს) თავს აჩავრინებს და მონურად ქედს უხრის, ხოლო თავისზე სუსტებს ან უმნეოებს (პატარა მონაზონს, პატარა თუნგს) ყოველი შეხვედრისას ამცირებს და გასაქანს არ აძლევს. სხვებისგან ნაცემი ჩაგრავს პატარა მონაზონს იმიტომ, რომ თავი ვინმეზე უკეთესად და ზემდგომად იგრძნოს. გარყვნილად მიაჩნია ყველა ის ქალი, ვინც გაბედა და ქუჩაში გამოვიდა. ა ქიუს საკუთარი ჩაგვრისა და დამცირების წინააღმდეგ მომარჯვებული აქვს თავისი ყოვლისშემძლე იარაღი – „სულიერი გამარჯვების“ მეთოდი, ერთგვარი ფსიქოლოგიური ხერხი თვითმოტყუებისა, თვითშთაგონება, რომ მან, ნაცემმა და თავლაფდასხმულმა, საბოლოოდ მონინააღმდეგეზე მორალურად გაიმარჯვა. შედეგად, ამგვარი უნივერსალური „სულიერი ანესთეზიის“ წყალობით, ნარმატებით გაურბის რა რეალობას, მრავალი ცხოვრებისული მარცხისა თუ დანაკარგის მიუხედავად, ყოველთვის „გამარჯვებული“ და კმაყოფილია. როცა ვინმე სცემს, ნარმოიდგენს, რომ საკუთარმა ულირსმა შვილმა სცემა; როცა ფულს ჰპარავენ, შელახული თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად საკუთარ თავს, ბედოვლათ თავის „მეორე მეს“ სჯის და სილას აწნავს,

<sup>14</sup> ლუ სსუინის ძმის, ჭოუ წოვენის თქმით, ნაწარმოების გმირის სახელში გამოყენებული ლათინური ასო Q თავის „კუდით“ სინაის რევოლუციამდელი ცინის ეპოქის ნაწავიან ჩინელებს განასახიერებს და თავად ამ ეპოქის ერთგვარ სიმბოლოს ნარმოადგენს.